ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

№გ.შ.25/07/19 25.07.2019წ.

ერთის მხრივ, **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“** (შემდგომში ‘’შემსყიდველი’’), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შალვა შავიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი”** (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გურჩიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტითა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე’’ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა’’ პუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, კერძოდ, „შემსრულებელი’’ იღებს ვალდებულებას „შემსყიდველს’’ გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღნიშნული მომსახურება, ხოლო თავის მხრივ „შემსყიდველი’’ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს’’ შეთანხმებული საზღაური.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი’’ იღებს ვალდებულებას განახორციელოს ავტოტექ მომსახურება, კერძოდ: TOYOTA PRADO-ს სახ. ნომერით: MR207DI, სანთლების შეცვლა (CPV 50100000).

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ადგილია შემსრულებლის სერვის ცენტრი ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

2.1.1. დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.2. „შემსრულებელი’’ ვალდებულია:

2.2.1. განახორციელოს მომსახურება არსებულ სტანდარტებთან შესაბამისად;

2.2.2. დაუყოვნებლივ შეატყობინოს „შემსყიდველს’’ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ გაგრძელებას;

2.2.3. უსასყიდლოდ, „შემსყიდველის’’ მოთხოვნით გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ მომსახურების გაწევის პროცესში „შემსრულებელმა“ დაუშვა ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება;

2.2.4. მომსახურება განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული სათადარიგო ნაწილებით.

3. მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გაწეულ მომსახურეობაზე შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტი.

3.3. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებიდან და 3.2. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შალვა შავიშვილი.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.
5.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისის დასაბუთებული ინფორმაცია.
5.3 „შემსრულებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებას შედეგად „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) შემსრულებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის დაწყების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია შემსრულებელს სრულად აუნაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტამდე შემსრულებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების ღირებულება.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
7.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზღისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2019 წლის 26 ივლისის ჩათვლით.

9.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დადასტურებისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია/დადასტურებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"

მის: ქ. თბილისი, ახვლედიანის 21
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

შალვა შავიშვილი ____________________

State Construction Company

Digitally signed by State Construction Company
DN: cn=State Construction Company, 2.5.4.97=NTRGE-205140257, o=••• ••••••••••• •••••••••••••••••,
c=GE
Date: 2019.07.25 16:50:59 +04'00'

"შემსრულებელი"

შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი"

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ.
ს/კ: 211346220
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE06TB1100000360200567

ირაკლი გურჩიანი ________________

Toyota Center Tbilisi LLC

Digitally signed by Toyota Center Tbilisi LLC
Date: 2019.07.25 17:40:28 +04'00'